

ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში I ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: I. ტექსტის რედაქტირება; II. არგუმენტირებული ესე; III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი.

ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები თან ახლავს შესაბამის დაგალებებს.

გაითვალისწინეთ, რომ ტესტის III ნაწილი - წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი - ორი დაგალებისაგან შედგება.

უნდა აირჩიოთ ერთ-ერთი მათგანი (N1 ან N2) და უნდა შეასრულოთ ამ დაგალებაში მოცემული: ა) წაკითხულის გააზრებაც და ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზიც.

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 80.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი და 15 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



I. ტექსტის რედაქტირება (16 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. **გაასწორეთ** მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.

კახეთის ისტორიული ქალაქი გრემი მდინარე ინწობის ნაპირზე იმყოფებოდა. ვარაუდობენ, რომ მოსახლეობა ამ ტერიტორიაზე უკვე ბრინჯაოს ხანაში უნდა ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ გრემი კახეთის დედაქალაქი იყო მის ისტორიაზე, თვით ქალაქზე, მის იერსახეზე მხოლოდ რამდენიმე მწირი ცნობები მოგვეპოვება. ერთი კი ცხადია დღემდე შემორჩენილი ნაგებობები და არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, რომ არსებობის ხან მოკლე პერიოდში გრემი აყვავებული, ფრიად მნიშვნელოვან ხუროთმოძღვრული ნაგებობებით დამშვენებული ქალაქი ყოფილა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სპარსული და ჩინური კერამიკის ნიმუშები რაც არქეოლოგიური გათხრებით იქნა მოპოვებული. იმას, რომ ქალაქს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონია იმ დროის მოწინავე ქვეყნებთან, სწორედ ამ მასალებით დასტურდება.

1614 წელს კახეთი შაჰ-აბასს დაულაშქრია და სასტიკად აუოხრებია. შაჰის რისხვა გრემსაც დატყდომია თავს. როგორც როსტომ მეფის მემკვიდრე მოგვიანებით სწერდა, გრემის ერთ დროს მშვენიერი სასახლეები ნადირთა სადგომად იყო ქცეული. გრემმა როგორც კახეთის სატახტო ქალაქმა კიდევ რამდენიმე ათეულ წელს იარსება და შემდეგ პირველობა თელავს დაუთმო.

II. არგუმენტირებული ესე (24 ქულა)

ტოლერანტობა ნიშნავს სხვა ადამიანების მრწამსის, ინტერესებისა და ღირებულებების პატივისცემასა და აღიარებას.

გაიაზრეთ ამ ტერმინის არსი და ისე შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალება:

ტოლერანტობა არ ნიშნავს უპრინციპობას. იგი გულისხმობს საზოგადოების წევრების მიერ ურთიერთდათმობების საფუძველზე მიღწეულ შეთანხმებას.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

გაანალიზეთ წარმოდგენილი თვალსაზრისი, შეაფასეთ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ ტექსტის შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

გაითვალისწინეთ, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით, ნაშრომი არ გასწორდება.

III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი (40 ქულა)

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

1.

„ვეფხისტყაოსანში“ ტარიელი უამბობს ავთანდილს სასახლეში გამართული თათბირის შესახებ, რომელიც ნესტანის გათხოვებას ეხებოდა:

I. დილასა ადრე სრას მიხმეს, დღე რა ქმნა მწუხრმან ჟამითა;
ავდეგ, ვცნა მათი ამბავი, წასლვა ვქმენ მითვე წამითა;
ვნახე, ორნივე ერთგან სხდეს ხასითა ოდენ სამითა,
რა მივე, მითხრეს დაჯდომა, წინაშე დავჯე სკამითა.

II. გვიბრძანეს, თუ: „ღმერთმან ასრე დაგვაბერნა,
და-ცა-გვლია;
ჟამი გვახლავს სიბერისა, სიყმაწვილე გარდგვივლია;
ყმა არ მოგვცა, ქალი გვივის, ვისგან შუქი არ გვაკლია,
ყმისა არ-სმა არად გვგავა, ამათ ზედა წაგვითვლია.

III. აწ ქალისა ჩვენისათვის ქმარი გვინდა სად მოვნახოთ,
რომე მივსცეთ ტახტი ჩვენი, სახედ ჩვენად გამოვსახოთ,
სამეფოსა ვაპატრონოთ, სახელმწიფო შევანახოთ,
არ ამოვწყდეთ, მტერთა ჩვენთა ხრმალი
ჩვენთვის არ ვამახოთ“.

IV. ვთქვით: „თქვენი ძისა არა-სმა გულსა ვით მიეფარების,
მაგრა კმა ჩვენად იმედად, ვინ მზესა დაედარების;
ვისცა სთხოვთ შვილსა სასიძოდ, მას დიდად გაეხარების,
სხვამცა რა გკადრეთ? თვით იცით, მაგას რა მოეგვარების“.

V. დავიწყეთ რჩევა საქმისა, გული მიც, თუცა მელია;
ვთქვი: „ჩემგან დაშლა ამისა არ ითქმის, არ-საქმნელია!“
მეფემან ბრძანა: „ხვარაზმშა, ხელმწიფე ხვარაზმელია,
თუ მოგვცემს შვილსა სასიძოდ, მისებრი არ რომელია“.

VI. რომე პირველვე დაესკვნა, მათ ესე შეეტყვებოდა;
ერთმანერთსაცა უჭვრეტდეს, სიტყვაცა აგრე სწბებოდა.
ჩემგან დაშლისა კადრება მართ ამბად არ ეგებოდა,
ოდენ დავმიწდი, დავნაცრდი, გული მი და მო კრთებოდა.

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

VII. დედოფალმან თქვა: „ხვარაზმშა მეფეა მორჭმით
მჯდომელი,
მათსამცა შვილსა სასიძოდ ჩვენთვის სხვა
სჯობდა რომელი!“
შეცილებამცა ვინ ჰკადრა, რათგან თვით იყო მნდომელი!
მოწმობა დავჰრთე, დაესკვნა დღე ჩემი სულთა
მხდომელი.

VIII. გაგზავნეს კაცი ხვარაზმშას წინა შვილისა მთხოველი,
შესთვალეს: „გახდა უმკვიდროდ სამეფო ჩვენი ყოველი;
არს ერთი ქალი სამეო, არ კიდე-გასათხოველი,
თუ მოგვცემ შვილსა სამისოდ, სხვასა ნულარას მოელი“.

IX. კაცი მოვიდა, აევსო ჯუბაჩითა და რიდიითა,
გაჰხარებოდა ხვარაზმშას სიხარულითა დიდიითა;
ებრძანა: „მოგვხვდა ღმრთისაგან, ჩვენ რომე ვინატრიდიითა!
თვით მაგისებრსა შვილსამცა ჩვენ ხელსა რასა ვჰხდიდიითა!“

X. კვლა გაგზავნეს კაცი სხვანი სასიძოსა მოყვანებად,
დაჰვედრეს, თუ: „ნუ აყოვნებთ, მოდით ჩვენად ნაბრძანებად“.
მე მაშვრალი, ნაბურთალი, საწოლს შევე მოსვენებად,
გულსა სევდა შემეყარა, ვიწყე ჭირთა მოპოვნებად.

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

3. დღის რომელ მონაკვეთს აღნიშნავს სიტყვები: „დღე რა ქმნა მწუხრმან ჟამითა“?

- ა) დილას.
- ბ) საღამოს.
- გ) შუადღეს.
- დ) ღამეს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

4. რა ჩანს ტარიელის ქმედებაში - „წასვლა ვქმენ მითვე წამითა“?

- ა) გაბედულება და სიმამაცე მეფე-დედოფალთან დასაპირისპირებლად.
- ბ) თავშეკავება და აუჩქარებლობა სახელმწიფოებრივი საქმის კეთებისას.
- გ) უზენაესი ხელისუფლის პატივისცემა და მორჩილება.
- დ) უზენაესი ხელისუფლის უპატივცემულობა და დაუმორჩილებლობა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

5. რაზე შეიძლება მიანიშნებდეს ის, რომ მეფე-დედოფალთან ტარიელს მხოლოდ სამი დიდებული დახვდა?

- ა) მეფის ავტორიტეტი შერყეულია და იგი მხოლოდ სამ ვეზირს ენდობა.
- ბ) მეფე თავმდაბლობით გამოირჩევა და მრავალრიცხოვან დარბაზობას თავს არიდებს.
- გ) სასაუბრო თემა საიდუმლოა და მხოლოდ ვიწრო წრეში განიხილება.
- დ) ტარიელის უსაფრთხოებაზე ზრუნავენ და ამიტომ ხალხმრავლობას ერიდებიან.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

6. რა არგუმენტს იშველიებენ მეფე და დედოფალი იმის დასასაბუთებლად, რომ გადაწყვეტილება დროულად უნდა მიიღონ?

- ა) მტერი კარსაა მომდგარი.
- ბ) მოსახლეობის უკმაყოფილება იზრდება.
- გ) სიბერის ჟამი დაუდგათ.
- დ) ქვეყანა პოლიტიკურად დასუსტდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

7. რა დასკვნა შეიძლება იქნეს გამოტანილი მეფე-დედოფლის საუბრიდან?

- ა) ინდოეთის სამეფო ტახტს მემკვიდრე არა ჰყავს.
- ბ) მოკავშირის გარეშე ინდოეთს ხატაელები დაიპყრობენ.
- გ) ტარიელს აქეზებენ, რომ ნესტანის ხელი ითხოვოს.
- დ) ქალიშვილის ბედნიერება მეფის მთავარი საზრუნავია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

8. როგორ შეხვდნენ მეფე-დედოფლის წინადადებას დიდებულები?

- ა) აღშფოთებით.
- ბ) მშვიდად.
- გ) პროტესტით.
- დ) სიხარულით.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

9. როგორ შეხვდა მეფე-დედოფლის წინადადებას ტარიელი?

- ა) თავზარი დაეცა, თუმცა თავის შეკავება შეძლო.
- ბ) შიშისაგან ძალა წაერთვა და ხმა ვედარ ამოიღო.
- გ) ძალიან გაუხარდა, რომ დიდი ზეიმი ელოდა.
- დ) წინააღმდეგობა გაუწია და მეფეს ომით დაემუქრა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

10. ტექსტის რომელ მონაკვეთში ჩანს ტარიელის ქცევის მოტივაცია?

- ა) „ვისცა სთხოვთ შვილსა სასიძოდ, მას დიდად გაეხარების, სხვამცა რა გკადრეთ? თვით იცით, მაგას რა მოეგვარების“.
- ბ) „ვნახე, ორნივე ერთგან სხდეს ხასითა ოდენ სამითა, რა მივე, მითხრეს დაჯდომა, წინაშე დავჯე სკამითა“.
- გ) „მე მაშვრალი, ნაბურთალი, საწოლს შევე მოსვენებად, გულსა სევდა შემეყარა, ვიწყე ჭირთა მოპოვნებად“.
- დ) „რომე პირველვე დაესკვნა, მათ ესე შეეტყვებოდა; ერთმანერთსაცა უჭვრეტდეს, სიტყვაცა აგრე სწებოდა“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

11. რა არგუმენტს იშველიებს დედოფალი ხვარაზმშასთან დანათესავების უპირატესობის საჩვენებლად?

- ა) ხვარაზმელები ინდოელების მოკავშირენი არიან.
- ბ) ხვარაზმშას ყველა ემორჩილება.
- გ) ხვარაზმშას შვილი საუკეთესო მეომარია.
- დ) ხვარაზმშა ძლევამოსილი ხელმწიფეა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

12. რატომ დაეთანხმა ტარიელი მეფე-დედოფლის გადაწყვეტილებას?

- ა) დარწმუნებული იყო, რომ მეფე წინააღმდეგობისათვის სასტიკად დასჯიდა.
- ბ) ეჭვობდა, რომ ხვარაზმმა მასთან დაპირისპირებას არ აპატიებდა.
- გ) ვარაუდობდა, რომ მის პოზიციას მხარს არავინ დაუჭერდა.
- დ) იცოდა, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

13. რომელ სტრიქონში იყენებს ავტორი მეტაფორას?

- ა) „გაგზავნეს კაცი ხვარაზმშას წინა შვილისა მთხოველი“.
- ბ) „მათსამცა შვილსა სასიძოდ ჩვენთვის სხვა სჯობდა რომელი“.
- გ) „ოდენ დავმიწდი, დავნაცრდი, გული მი და მო კრთებოდა“.
- დ) „შეცილებამცა ვინ ჰკადრა, რათგან თვით იყო მნდომელი“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

14. რომელ ფრაზაში ჩანს, რომ მეფე და დედოფალი თავს უხერხულად გრძნობდნენ?

- ა) „მოდით ჩვენად ნაბრძანებად“.
- ბ) „სიტყვაცა აგრე სწებოდა“.
- გ) „ჟამი გვახლავს სიბერისა“.
- დ) „ყმისა არ-სმა არად გვგავა“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

15. რომელი სიტყვები მიუთითებს ხელისუფალთა თვალთმაქცობაზე?

- ა) „არს ერთი ქალი სამეო, არ კიდე-გასათხოველი“.
- ბ) „გახდა უმკვიდროდ სამეფო ჩვენი ყოველი“.
- გ) „თუ მოგვცემ შვილსა სამისოდ, სხვასა ნუღარას მოელი“.
- დ) „ნუ აყოვნებთ, მოდით ჩვენად ნაბრძანებად“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

16. როგორ ახასიათებს ტექსტის ეს მონაკვეთი ინდოეთის ხელმწიფეს?

- ა) როგორც ინტრიგების მხლართავს.
- ბ) როგორც სამართლიან ხელმწიფეს.
- გ) როგორც სიმდიდრის მოყვარულს.
- დ) როგორც ჭეშმარიტ პატრიოტს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

17. როგორ ახასიათებს ტექსტის ეს მონაკვეთი ტარიელს?

- ა) როგორც თავგანწირულ მიჯნურს.
- ბ) როგორც ფიცხსა და დაუნდობელს.
- გ) როგორც ღირსეულ მეტოქეს.
- დ) როგორც წინდახედულსა და თავშეკავებულს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზი (25 ქულა)

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

გაანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ მეფის მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ამ ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ტექსტის მხატვრული თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

2.

რომანში „იუპიტერის სინანული“ ჯემალ ქარჩხაძე მოგვითხრობს, თუ როგორ ცდილობს რომაელი იმპერატორი ნერონი, გაექცეს ამბოხებულ ხალხს:

ნერონი შავ ცხენზე იჯდა, შავი ლაბადა ეცვა და შავ ღამეს ფრთხილად მიაჩვენებდა. დიდი გზა არ ჰქონდა გასავლელი. ფაონის მამულამდე ქალაქის ბოლოდან სულ სამი-ოთხი მილი თუ იქნებოდა. გზაზე კაციშვილი არ ჰქაჩანებდა. ქალაქში კი ხმაური იზრდებოდა და თითქოს თანდათან ახლოვდებოდა. ნერონი უკან არ იყურებოდა. წელანდელი შიში სადღაც გამქრალიყო. შიშის მაგივრად ახლა გულში ნალველი ედგა, მწარე, ენით გამოუთქმელი ნალველი, და ასე ეგონა, ხალხი კი არ ხმაურობდა მის ზურგს უკან, ხალხის ყიჟინა და ღრინაცელი კი არ ახლოვდებოდა, არამედ თავად ქალაქი რომი აღმდგარიყო, დაძრულიყო ეს ვეება, საშინელი ურჩხული, სიყვარულ-სიძულვილის გაუგებარი და გამოუხსნელი გორგალი, დაძრულიყო თავის სახლებიანად და სასახლეებიანად, ტაძრებიანად და ქანდაკებებიანად, ქუჩებიანად და მოედნებიანად, დაძრულიყო შვიდივე ბორცვი და ფეხდაფეხ მოსდევდა. და ნერონმა არც კი იცოდა, რა ერჩივნა: გაქცეოდა თუ ვერ გაქცეოდა.

უკან ხმაური იზრდებოდა, ჩირაღდნების რიცხვი მატულობდა და ქალაქი ისე ჩახჩახებდა, თითქოს ხანძარი გასჩენიაო. წინ კი სიბნელე და სიწყნარე იყო. ნერონი თავისდაუნებურად ყურს უგდებდა ქალაქის ხმაურს და ნალველში გახსნილი შიშით გაჟღენთილ გულში დროდადრო მწარე სიცილი უფეთქავდა. სულელი რომაელები თავიანთი სისულელის გამო დარწმუნებული არიან, რომ, როგორც კი ნერონს მოიშორებენ, მყისვე ღვთაებრივი სამართლიანობის მარადიულ ნათელში შევლენ. ბრმა გულუბრყვილობა. ჭკუამოკლე სიხარული. ბერწი მეხსიერება. ამათ სიახლე განახლება ჰგონიათ და ამიტომ დღეს ისეთივე აღტაცებით ზეიმობენ ნერონის დამხობას და გალბას აღზევებას, როგორი აღტაცებითაც გუმინ კლავდიუსის დამხობა და ნერონის აღზევება იზეიმეს... და ტრიალებს ასე წუთისოფელი ბრმა შურისძიებასა და ცრუ იმედს შორის... ამოება... და

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

ნერონიც, ამხელა ხელოვანი, ისე გაიხსნა და განზავდა ამაოებაში, ერთი ღირსეული ლექსი ვერ შეთხზა!.. რაც აქამდე უკეთებია, მხოლოდ მზადება და ვარჯიში იყო. ნუთუ ყოველივე მზადებით უნდა დამთავრდეს?.. რად გინდოდა ეს იმპერატორობა?! რა ხმლად და ფარად გამოგადგება?! რატომ გვიბნევენ ასე უმოწყალოდ გზა-კვალს ღმერთები, რატომ? ახლა რომ ყველაფრის თავიდან დაწყება შეძლებოდა, ნერონი ბრიტანიკუსს დაუთმობდა პირველობას - თვალის ჩინივით გაუფრთხილდებოდა, რომ შემთხვევით საჭმელში საწამლავი არ შეჰყოლოდა - თვითონ კი ფაფუკ ღრუბელში გაეხვეოდა და სამხრეთის ნიავს გაჰყვებოდა, თავის სიცოცხლეს ლექსებად დაჭრიდა, ტკბილი სიმღერის ნაკურთხ ჭურჭელში ჩააწყობდა და ხელოვნების წმინდა ცეცხლზე მსხვერპლად მიიტანდა, რათა შეწირული მსხვერპლისაგან სხვა სიცოცხლე წარმოქმნილიყო, რომელიც მარადიული გაზაფხულის უსასრულო ჭალების ბოლოს ზეციურ მწვერვალზე შედგამდა ფეხს, სადაც დიდი უსინათლო¹ უკვდავ ღმერთებს ლექსად ებაასება. ეს იყო ნერონის მოწოდება და არა იმპერატორობა.² მაგრამ ნერონი ამას გვიან მიხვდა... თუმცა, ვინ იცის, იქნებ არც არის გვიან?.. ამაღამდელ ღამეს თუ გადაურჩა... ფაონის მამულში ეპაფროდიტუსი ელის. იქნებ ოსტიაში ხომალდი ჰყავს გამზადებული? იქნებ მოესწროს გაქცევა?..

მარციუსის არხი გადაჭრა და ფაონის მამულამდე თითქმის აღარაფერი ჰქონდა დარჩენილი, რომ უცებ მარჯვნიდან, სადაც პრეტორიის ბანაკი იყო, გზაზე რამდენიმე მხედარი გამოჩნდა. ნერონს გული გაუცივდა და ცხენი ინსტინქტურად შეაყენა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და მყისვე ისევ განაგრძო გზა, ოღონდ ოდნავ გვერდზე კი შებრუნდა, რომ სახე არ ეჩვენებინა.

მხედრებმა ერთი შეავლეს თვალი, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევიათ, თავიანთი გზით წავიდნენ. ნერონმა შვებით ამოისუნთქა და იმავ წამს კიდევ ერთი მხედარი დაინახა, რომელიც, ჩანს, დანარჩენებს ჩამორჩენოდა. დიდი იყო, ფართო მხარბეჭი ჰქონდა, გაჩაჩხული იჯდა ცხენზე და თავისთვის რაღაცას ღიღინებდა. ნერონი რომ დაინახა, ღიღინი შეწყვიტა,

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

¹ იგულისხმება ანტიკური სამყაროს გამოჩენილი პოეტი ჰომეროსი, რომელიც, გადმოცემის მიხედვით, ბრმა იყო.

² ნერონი თავს დიდ პოეტად და მსახიობად მიიჩნევდა.

ყურადღებით დააცქერდა, ერთხანს ასე უყურა, მერე უცებ თავისი ცხენი მის ცხენს გაუპირდაპირა და ნაბიჯსაც აუჩქარა. ნერონს ისევ გაუცივდა გული. ნუთუ ეს არის? ნუთუ ეს დათვი აირჩია ბედისწერამ იმპერატორის მკვლელად?.. მხედარი აშკარა ქადილით მოდიოდა და ნერონის გული - პატარა, გამხმარი, უსიცოცხლო - მკერდის ბნელ ღრუში უსასოოდ ცახცახებდა და უხმოდ ფეთქავდა. ნერონი ცდილობდა სახე მოერიდებინა, თან ჩუმად უთვალთვალებდა. ჯერ ანიკეტუსს მიაშვავსა, მერე ანიკეტუსის ცენტურიონს, რომელიც ანიკეტუსს ჰგავდა. ერთი დაპირება დააპირა, ცხენი გვერდზე გაეწია, მაგრამ ძალა არ ეყო. როდესაც სულ ახლო მოვიდა, ისე, რომ ცხენებმა ლამის შუბლი შუბლს მიაბჯინეს, მხედარი უცებ შეკრთა, თვალები გაუფართოვდა, სახეც შეეცვალა, სწრაფად მოზიდა მარჯვნივ აღვირი და ნერონს გზა მისცა, თან შიშით, განცვიფრებით თუ სიხარულით - ამის გარკვევა ძნელი იყო - ისე, თითქოს ყელში გაჩხერილი ლუკმა უკანვე ამოაგდო, ამოიძახა:

- დიდება ცეზარს! - და სწრაფად გაეცალა.

ნერონი გახევდა. ერთხანს ასე გახევებული იდგა. ფიქრები დამფრთხალი ჩიტებივით გაიფანტნენ. ბოლოს, როგორც იქნა, დამშვიდდა და გულში იმედი და სიხარული აუმოდრავდა. მეომარმა იცნო. იცნო და, იმის ნაცვლად, რომ მოეკლა, სალამი მისცა. განა მთელი ლაშქარი ასე არ მოიქცევა? იმპერატორის ურჩობა ადვილია, სანამ იმპერატორი არა ჩანს. როგორც კი დაინახავენ, ყველანი ასე შეშინდებიან. მთავარია, ნერონმა გაბედოს და თავაწეული, მხნე ნაბიჯითა და ზვიადი ღიმილით წარდგეს ხალხისა და ლაშქრის წინაშე...

ცხენი ნელა მიატრიალა და გაიხედა, მაგრამ, ქალაქის ბორცვებზე რომ ურიცხვი ჩირაღდანნი დაინახა და ყრუ გუგუნნი გაიგონა, რომელშიაც არტახებშეხსნილი მუქარა იდგა, ცხენი უკანვე შემოატრიალა. არა, ის ქალაქი - ანთებული, აღტკინებული, იმედიანი - მისი აღარ იყო.

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

3. რა ფუნქცია აქვს ტექსტის პირველ წინადადებას?

- ა) ავისმომასწავებელი განცდა აღძრას.
- ბ) ოპტიმიზმის შეგრძნება გააჩინოს.
- გ) ნეიტრალური განწყობილება შექმნას.
- დ) ღამის პეიზაჟი აღწეროს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

4. რას ნიშნავს ნერონისთვის ის, რომ „ფაონის მამულამდე... სულ სამი-ოთხი მილი თუ იქნებოდა“?

- ა) მანძილს მისთვის არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს.
- ბ) გზის სირთულე გადარჩენის შანსს უმცირებს.
- გ) გზის სიმოკლე გადარჩენის იმედს უძლიერებს.
- დ) ფაონის მამულამდე მიღწევა მისთვის შეუძლებელი ხდება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

5. რაზე მიაწინებს ის, რომ ქალაქის ხმაური „იზრდებოდა და თითქოს თანდათან ახლოვდებოდა“?

- ა) ქალაქის ხმაური ნერონს ვედარაფერს დააკლებდა.
- ბ) ხმაურის მოახლოება ნერონს იმედს უღვიძებდა.
- გ) ნერონი სასიკვდილო საფრთხის წინაშე იდგა.
- დ) ხმაური ნერონს ქალაქში დაბრუნებისაკენ უბიძგებდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

6. რატომ აღიქვამს ნერონი რომს საშინელ ურჩხულად?

- ა) რომში სამოქალაქო ომია და მოსახლეობა ერთმანეთს დაუნდობლად ანადგურებს.
- ბ) რომის მოსახლეობის ამბოხი ქვეყნის ერთიანობას ძირს უთხრის.
- გ) რომის მოსახლეობა ამბოხებულია და იმპერატორს მოსაკლავად მოსდევს.
- დ) რომის მოსახლეობის ამბოხი მთელი სამყაროსათვის საფრთხეს წარმოადგენს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

7. რა მხატვრული საშუალებაა „ქალაქი რომი აღმდგარიყო, დაძრულიყო“?

- ა) გაპროვინება.
- ბ) ეპითეტი.
- გ) შედარება.
- დ) ალუზია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

8. რის გამო უწოდებს ნერონი რომაელებს „სულელებს“?

- ა) მათი უანგარო სიკეთის გამო.
- ბ) მათი წინდაუხედაობის გამო.
- გ) მათი მოჩვენებითი მრისხანების გამო.
- დ) მათი ურთიერთსიძულვილის გამო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

9. რატომ დასცინის ნერონი რომაელთა „ჭკუამოკლე სიხარულსა“ და „ბერწ მესხიერებას“?

- ა) ნერონის აზრით, ერთი იმპერატორის მეორე იმპერატორით შეცვლა რომაელებს სიკეთეს ვერ მოუტანს.
- ბ) ნერონის აზრით, რომაელებმა მისი, როგორც მხედართმთავრის, ღირსებები სათანადოდ ვერ დააფასეს.
- გ) ნერონის აზრით, რომაელებმა არ იციან, რომ უკვე „სამართლიანობის მარადიულ ნათელში“ იმყოფებიან.
- დ) ნერონის აზრით, რომაელები კლავდიუსის დამხობას არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეჰგუებოდნენ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

10. რას მისტირის ამბობებულთაგან დევნილი ნერონი?

- ა) რომ ტახტის მოცილებები დროზე ვერ მოიშორა.
- ბ) რომ საკუთარი მხედართმთავრული უნარი ვერ გამოიყენა.
- გ) რომ რომაელთა ინტერესები სათანადოდ ვერ გაითვალისწინა.
- დ) რომ პოეტური ნიჭი სრულად ვერ გამოავლინა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

11. ნერონის რა თვისებაზე მიუთითებს ფრაზა: „...ზეციურ მწვერვალზე შედგამდა ფეხს, სადაც დიდი უსინათლო უკვდავ ღმერთებს ლექსად ებაასება“?

- ა) ნიჭიერებაზე.
- ბ) თავმდაბლობაზე.
- გ) სიმამაცეზე.
- დ) ამპარტავნობაზე.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

12. რაზე მიანიშნებს ნერონის ფიქრი: „იქნებ მოესწროს გაქცევა“?

- ა) ამბოხებულთაგან პატიებას ელოდება.
- ბ) იმედი საბოლოოდ ეწურება.
- გ) სამომავლო შურისძიებისთვის ემზადება.
- დ) მცირეოდენ იმედს ებლაუჭება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

13. რატომ „გაუცივდა“ გული ნერონს, როცა „გზაზე რამდენიმე მხედარი გამოჩნდა“?

- ა) შურისძიების სურვილმა შეიპყრო.
- ბ) არავის დანახვა არ სურდა.
- გ) შეეშინდა, მხედრებს არ მოეკლათ.
- დ) იფიქრა, სასახლეში დააბრუნებდნენ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

14. ნერონის რა სულიერ მდგომარეობას გამოხატავს სიტყვები: „ნერონის გული - პატარა, გამხმარი, უსიცოცხლო...“?

- ა) კიდევ აქვს გამარჯვების იმედი.
- ბ) შეშინებული და სასოწარკვეთილია.
- გ) ავადმყოფობით უკიდურესად დათრგუნვილია.
- დ) რომის გადარჩენის სურვილი აფორიაქებს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

15. რის იმედი გაუჩინა ნერონს მხედრის მისაღმებამ: „დიდება ცეზარს!“?

- ა) ფაონის მამულამდე მიღწევის იმედი.
- ბ) გაცამტვერებული დიდების აღდგენის იმედი.
- გ) პრეტორიის ბანაკში დაბრუნების იმედი.
- დ) პოეტურ სარბიელზე გამარჯვების იმედი.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

16. რომელი მხატვრული საშუალებაა გამოყენებული სიტყვებში: „ბერწი მესსიერება“?

- ა) ეპითეტი.
- ბ) შედარება.
- გ) ირონია.
- დ) ალუზია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

17. რა განაპირობებს ბოლო აზრის ტრაგიზმს?

- ა) ხალხის „ყრუ გუგუნი“ ნერონს სისხლისმღვრელ ბრძოლას აიძულებდა.
- ბ) ხალხის „ყრუ გუგუნი“ ნერონს აჯანყებულ რომში დაბრუნებისკენ მოუწოდებდა.
- გ) „ურიცხვი ჩირაღდნის“ დანახვამ ნერონი დაარწმუნა, რომ ხალხი უნდა ამოეწყვიტა.
- დ) „ურიცხვი ჩირაღდნის“ დანახვაზე ნერონი დაარწმუნდა, რომ დამარცხდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზი (25 ქულა)

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გამწვანდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ **თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს** და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). **გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.**

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

გაანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ნერონის მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ამ ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- დაახასიათეთ ავტორის თხრობის მანერა და ტექსტის ენობრივი თავისებურებები.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე